ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. მცხეთა №58 14.08.2015 წელი

ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების გენერალური დირექტორი თ.ჯავახიშვილის სახით შემდგომში „დამკვეთი" და მეორე მხრივ, შ.პ.ს „სასტუმრო ბაზალეთი"-ს დირექტორი დ. ნატრაძის სახით შემდგომში „შემსრულებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე; (მივლინება)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2015 წლის 19-26 აგვისტოს ქ. დუშეთში სასწავლო-საწრთვნელ შეკრებაზე მონაწილე ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების მცხეთის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ველომრბოლელთა გუნდის 7 სპორტსმენის, 1 მწვრთნელ-მასწავლებლის - წარმომადგენლ-პასუხისმგებელი პირის სასტუმროთი მომსახურება.

CPV კოდი – სასტუმრო მომსახურება – 55100000

2. მომსახურების გაწევის ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2015 წლის 19-26 აგვისტო.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1900(ათასცხრაასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „შემსრულებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „დამკვეთი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „დამკვეთს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „დამკვეთი" უფლებამოსილია „შემსრულებელს" არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.